საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინგოროყვა გიორგი ილიას ძე

ინგოროყვა გიორგი ილიას ძე (დ. 8. XII. 1950, ხაშური), ნეიროქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (2001), პროფესორი (2002).

1973 დაამთავრა თსსი. 1994–99 იყო ამავე ინ-ტის ნეიროქირურგიის კურსის ხელმძღვანელი, 1999–2007 – აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური რესპ. საავადმყოფოს ნეიროქირურგიის ცენტრის დირექტორი, 2004-იდან – თსსი-ის ნეიროქირურგიის კათედრის გამგე, 2007–09 – თბილ. I საავადმყოფოს საუნივერსიტეტო კლინიკის ნეიროქირურგიის ცენტრის დირექტორი; 2009-იდან – შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის" გენ. დირექტორი.

ი. მრავალი სამეცნ. შრომის ავტორია, რ-ებიც ეხება ნეიროქირურგიის აქტუალურ პრობლემებს. არის საქართვ. ნეიროქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ამერიკის, ევროპის ასოციაციის წევრი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ღირსების ორდენი (2012).